



სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

18/06/2025



MES 9 25 0000693270

ბრძანება

**ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის
„ნარჩენების მართვის სპეციალისტი“ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2025 წლის 17 ივნისის №680941 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ:402019917) პროფესიული მომზადების პროგრამა „ნარჩენების მართვის სპეციალისტი“ (დანართი).
2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ქეთევან კობახიძე



პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციე ბის ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივო ბა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02334	ნარჩენების მართვის სპეციალისტი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	15	ქართული	40	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ მე-3 კვარტ. ნაკვეთი 01/10

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2025 წლის 11 აპრილის

ბრძანებით N66



1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: ნარჩენების მართვის სპეციალისტი

პროგრამის სახე:

☒ პროფესიული მომზადება

☐ პროფესიული გადამზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:

☐ 2 ☐ 3 ☒ 4 ☐ 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 15
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური 5 მაქსიმალური 10
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება
პროგრამის მიზანი: მსმენელებმა შეისწავლონ გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების საკითხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი -ნარჩენების მართვა. საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მიღებული იქნა 2015. მას შემდეგ ეტაპობრივად ძალაში შედიოდა და შედის კოდექსიდან გამომდინარე რეგულაციები, რაც თავის მხრივ ნარჩენების სწორად მართვის ვალდებულებას უჩენს როგორც თითოეულ მოქალაქეს, ასევე მსხვილ და მცირე მეწარმეს. ნარჩენების მართვა დიდ გამოწვევას წარმოადგენს. სასწავლო კურსის მიზანია მსმენელებს მიეწოდოს ცოდნა ნარჩენების წარმოქმნის, მათი მინიმიზაციის და სწორად მართვის შესახებ. მოკლევადიანი კურსის დასრულების შემდეგ, მსმენელები შეძლებენ ნარჩენების პირველადი ინვენტარიზაციის დოკუმენტით სარგებლობას, ნარჩენების მართვის გეგმით ხელმძღვანელობას. მსმენელები შეძლებენ ნარჩენების შესაბამის კატეგორიებად დაყოფას (სახიფათო, არასახიფათო), ნარჩენების სწორად სეპარირებას, სწორად განთავსებას და მართვას. კურსის დასრულების შემდეგ, მსმენელებს ეძლევათ დასაქმების ფართო არჩევანი. მოკლევადიანი პროგრამის ფარგლებში, მსმენელები შეიძენენ ნარჩენების მართვის სპეციალისტისთვის საჭირო ყველა აუცილებელ უნარს და საბაზისო ცოდნას, საჭიროს შრომის ბაზარზე დასაქმებისთვის.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. რეაგირება გარემოსდაცვით პრობლემებზე;
2. დაბინძურების ზემოქმედების გავლენის შეფასება;
3. გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
4. გარემოს დაცვითი საერთაშორისო კონვენციებისა და ეროვნული კანონმდებლობის აღწერა;
5. ნარჩენების კატეგორიების იდენტიფიცირება;
6. ნარჩენების მართვის სფეროში არსებული ნორმების დაცვა;
7. საყოფაცხოვრებო და რეციკლირებადი ნარჩენების გაუვნებელოება და აღდგენა რეციკლირება;
8. სახიფათო ნარჩენების გადამუშავება - გაუვნებელოება;
9. სამედიცინო ნარჩენების მართვის აღწერა;
10. ნიადაგის გაწმენდა/გასუფთავება/აღდგენის პროცესის აღწერა;
11. უსაფრთხო სასმელი წყლისა და დამაბინძურებლების აღწერა;
12. წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედების დაგეგმვა;
13. წყლის წყაროების დაბინძურების გაკონტროლება;
14. ჰაერში გაფრქვევის შემცირების კონტროლი.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

მოდულები:

1. გარემოს დაცვის საფუძვლები;
2. ნარჩენების მართვა;
3. წყლის და ჰაერის დაბინძურება.

პროგრამის მოკლე აღწერა: ნარჩენების მართვის მოკლევადიანი სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს კადრების მომზადებას მოკლე დროში. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების შეძენას და გაუმჯობესებას, რაც საჭიროა კვალიფიციური სპეციალისტის მომზადებისთვის. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 15 კვირა და 225 საათი, ხოლო კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შეადგენს 15 საათს. პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელს დახვდება მატერიალური თუ საბიბლიოთეკო რესურსითა, სრულად აღჭურვილი სასწავლო დაწესებულება და პროგრამას შეასწავლიან მრავალწლიანი გამოცდილების კვალიფიციური განმახორციელებელი პირები.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც ექნება სრული ზოგადი განათლება. პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს. პროგრამა მოიცავს ნარჩენების წარმოქმნის და მისი მართვის სრულ ციკლს. შესაბამისად, მსმენელს მიეწოდება ყველა საკითხი, მათ შორის პასუხისმგებლობა ნარჩენების მართვის კოდექსით მოთხოვნილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევებშიც.

2. პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
1	- რა არის გარემო; გარემოს კომპონენტები; - რა არის ბიოლოგიური მრავალფეროვნება; - გარემოს დეგრადაცია როგორც საფრთხე მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისათვის; - ეკოსისტემური სერვისები; - ბიოდივერსიფიკაცია და ევოლუცია. - მდგრადი განვითარების მნიშვნელობა; - მდგრადობის სამი პრინციპი; - მდგრადი მართვა; - მდგრადობის ძირითადი კომპონენტები; - ბუნებრივი სიმდიდრის მოხმარება და დეგრადაცია; - ეკოლოგიური ნაკვეთი. - გარემოსდაცვითი მოძრაობის დასაწყისი; - მე-19 საუკუნეში დაწყებული ინდუსტრიალიზაცია და გარემოს დაცვითი საკითხები; - ადამიანები რომელთაც დიდი გავლენა იქონიეს გარემოსდაცვის პოპულარიზაციაზე (ალდო ლეოპოლდი, ჯერალდ დარელი და სხვები); „მდუმარე გაზაფხული“- რეიჩელ კარსონი (1962წ); - მოძრაობა „ენვაირომენტალიზმის“ წარმოშობა მე-20 საუკუნის 60-70 -იან წლებში;	1	15	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C

	• გარემოსდაცვითი მოძრაობის განვითარება; • ტექნოგენური კატასტროფები, რამაც გარემოსდაცვითი რეგულაციების გამკაცრება გამოიწვია (სევესოს, ბოპალის, ჩერნობილის, გალფის ყურის და სხვა); • რეაგირება გარემოსდაცვით პრობლემებზე და საერთაშორისო თანამშრომლობა. • ეთიკური/მორალური მიზეზი; • სამართლებრივი მიზეზი; • ჯარიმები კანონთან შეუსაბამობისთვის; • ფინანსური/ეკონომიკური მიზეზი; • გარემოსდაცვითი ინციდენტების შედეგები; • დაბინძურების ფორმები; • დახმავი დაბინძურებელი ნივთიერებები; • დაბინძურების წყაროები და მიზეზები; • დაბინძურების ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე; • დაბინძურების ზემოქმედება გარემოზე; • გარემოს ზემოქმედება ადამიანზე; • ადამიანის ზემოქმედება გარემოზე; • ტექნოლოგიები; • სოფლის მეურნეობა; • ენერგო ინდუსტრია; • სინათლით დაბინძურება; • წარმოება.					
2	• საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ; • საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ; • რისთვის არის საჭირო გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ); • რას წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ); • გზშ როლი პროექტების შემუშავების დროს; • გზშ-ს გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში; • გარემოზე ზემოქმედების შეფასება ინფორმაციის მიღების საშუალება; • ასპექტების მნიშვნელობა;	2	15	ლექცია, პრაქტიკული დავალება	გამოკითხვა	A

	• ზემოქმედების მნიშვნელობა; • გარემოზე ზემოქმედების მიზნები და ამოცანები; • აკვნიდან - საფლავამდე (სიცოცხლის ციკლის ანალიზი); • გარემოზე ზემოქმედების ტიპები; • პირდაპირი ზემოქმედება; • არაპირდაპირი ზემოქმედება; • ატმოსფეროს დაბინძურება; • მიწის დაბინძურება; • მიწისზედა და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება; • პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედება საზოგადოებაზე; • პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედება გარემოზე;					
3	• სტოკჰოლმი 1972 წლის გაეროს კონფერენცია „ადამიანი და გარემო“; • რიოს 1992 კონფერენცია „დედამწის სამიტი“; • კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ; • გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია; • დაბინძურებისგან შავი ზღვის დაცვის კონვენცია; • გაეროს კონვენცია გაუდაზნოებასთან ბრძოლის შესახებ; • სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ; • 1985 წლის ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ; • კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში	3	15	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C

	მართმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ; • ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ; • საქართველოს კანონი გარემოსდაცვის შესახებ; • საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი; • საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ;					
4	• რა არის გარემო; გარემოს კომპონენტები; • რა არის ბიოლოგიური მრავალფეროვნება; • გარემოს დეგრადაცია როგორც საფრთხე მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისათვის; • ეკოსისტემური სერვისები; • ბიოდვერსიფიკაცია და ევოლუცია. • მდგრადი განვითარების მნიშვნელობა; • მდგრადობის სამი პრინციპი; • მდგრადი მართვა; • მდგრადობის ძირითადი კომპონენტები; • ბუნებრივი სიმდიდრის მოხმარება და დეგრადაცია; • ეკოლოგიური ნაკვალევი; • გარემოსდაცვითი მოძრაობის დასაწყისი; • მე-19 საუკუნეში დაწყებული ინდუსტრიალიზაცია და გარემოს დაცვითი საკითხები; • ადამიანები რომელთაც დიდი გავლენა იქონიეს გარემოსდაცვის პოპულარიზაციაზე (ალდო ლეოპოლდი, ჯერალდ დარელი და სხვები); • „მდუმარე გაზაფხული“- რეიჩელ კარსონი (1962წ); • მოძრაობა „ენვაირომენტალიზმის“ წარმოშობა მე-20 საუკუნის 60-70 -იან წლებში; • გარემოსდაცვითი მოძრაობის განვითარება; • ტექნოგენური კატასტროფები, რამაც გარემოსდაცვითი რეგულაციების	4	15	ლექცია, პრაქტიკული დავალება	გამოკითხვა	A

	გამკაცრება გამოიწვია (სევესოს, ბოჰალის, ჩერნობილის, გალფის ყურის და სხვა); - რეაგირება გარემოსდაცვით პრობლემებზე და საერთაშორისო თანამშრომლობა. - ეთიკური/მორალური მიზეზი; - სამართლებრივი მიზეზი; - ჯარიმები კანონთან შეუსაბამობისთვის; - ფინანსური/ეკონომიკური მიზეზი; - გარემოსდაცვითი ინციდენტების შედეგები; - დაბინძურების ფორმები; - დახმაბინძურებელი ნივთიერებები; - დაბინძურების წყაროები და მიზეზები; - დაბინძურების ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე; - დაბინძურების ზემოქმედება გარემოზე; - გარემოს ზემოქმედება ადამიანზე; - ადამიანის ზემოქმედება გარემოზე; - ტექნოლოგიები; - სოფლის მეურნეობა.					
5	ნარჩენები და გარემო - ნარჩენები თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა; - ნარჩენები გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვანი წყარო; - ნარჩენების წარმოქმნის წყაროები. ნარჩენების კლასიფიკაცია - მყარი ნარჩენები; - თხევადი ნარჩენები; - საყოფაცხოვრებო ნარჩენები; - არასახიფათო ნარჩენები; - სახიფათო ნარჩენები; - რადიოაქტიური ნარჩენები; - ინერტული ნარჩენები. ნარჩენების ეფექტური მართვა - ნარჩენების მინიმიზაცია; - ნარჩენების მართვის იერარქია; - ნარჩენების რეციკლირების სარგებელი და შეზღუდვები;	5	15	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C

	- ნარჩენების ხელახლა გამოყენების და რეციკლირების ზღუდეები და როგორ შეიძლება მათი გადალახვა; - ნარჩენების სეპარირება, დასაწყობება, ტრანსპორტირება და საბოლოო განთავსება/განადგურება; - ნარჩენებზე ზრუნვის მოვალეობა - ნარჩენების სეგრეგირება, იდენტიფიცირება და მარკირება; - ნარჩენების შეფუთვა; - მარეგულირებელი და აღმრიცხველი დოკუმენტაცია; - ნარჩენების წარმომქმნელი წყაროების იდენტიფიცირება; - ნარჩენების კატეგორიების იდენტიფიცირება; - შევარჩიოთ ნარჩენების მართვის საუკეთესო ვარიანტი.					
6	- ნარჩენების მართვის კოდექსის ძირითადი მოთხოვნები; - ნარჩენების მართვის სფეროში კომპეტენციები და ზოგადი ვალდებულებები; - ნარჩენების მართვის დაგეგმვა - ნარჩენების აღრიცხვა და ანგარიშგება; - ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის ნებართვა და რეგისტრაცია; - გარემოსდაცვის მმართველის დანიშვნის ვალდებულება და მისი მოვალეობები.	6	15	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C
7	- კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა; - ნარჩენების ინვენტარიზაცია; - ნარჩენების მართვის გეგმის სტრუქტურა; - ნარჩენების მართვის სტრატეგიების აღწერა.	6	15	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C
8	- მუნიციპალური ნარჩენების მართვა; - ნარჩენების დახარისხება; - ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისგან კომპოსტის დამზადება; - ნარჩენების ხელმეორედ გამოყენება; - საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელების მართვა;	7			პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C

	• საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელებზე განთავსება; • საყოფაცხოვრებო მყარი ნარჩენების დაწვის (ინსინერაციის) შედეგად ენერგიის მიღება; • ქალაქის მუყაოს გადამუშავება • პოლიეთილენის და პლასტმასის სხვა სახეობების გადამუშავება;		15	ლექცია, პრაქტიკული დავალება		
9	• სახიფათო ნარჩენების კლასიფიკაცია; • სახიფათო ნარჩენების შეგროვება და უსაფრთხო განთავსება; • სახიფათო ნარჩენებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპები; • სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებული ძირითადი საფრთხეები; • სახიფათო ნარჩენების გადაზიდვის წესი; • სახიფათო ნარჩენების ფიზიკური წესით დამუშავება; • სახიფათო ნარჩენების ქიმიური წესით დამუშავება; • სახიფათო ნარჩენების ბიოლოგიური წესით დამუშავება; • სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის გზით განადგურება; • ინსინერაციის შედეგად მიღებული ფერფლის განთავსება; • აზბესტთან მოპყრობის და მისი უსაფრთხო განთავსების წესები.	8	15	ლექცია, პრაქტიკული დავალება	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C
10	• სამედიცინო ნარჩენების კლასიფიკაცია; • სამედიცინო ნარჩენების შეგროვების წესები; • სამედიცინო ნარჩენების გაუვნებელყოფა; • საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #64 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის: სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლების სანიტარიული წესებით და ნორმებით;	9	15	ლექცია, პრაქტიკული დავალება	გამოკითხვა	A, C

	სამედიცინო ნარჩენების ინსინერაციის გზით განადგურება.					
11	- ნიადაგის დაბინძურებით ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხეები; - დაბინძურებული ნიადაგის გამაფრთხილებელი ნიშნების დადგმა; - დასკვნები დაბინძურებული ნიადაგის უარყოფით ზემოქმედებაზე; - ნიადაგის დამაბინძურებელი ფიზიკური და იურიდიული პირების პასუხისმგებლობა.	10	15	ლექცია, პრაქტიკული დავალება	გამოკითხვა	A, C
12	- წყალი როგორც სასიცოცხლო გარემო და რესურსი მოსახლეობისთვის - როგორია უსაფრთხო სასმელი წყალი; - წყლის ხარისხი და დამაბინძურებლები - წყალზე მოთხოვნა; - უსაფრთხო სასმელი წყლის ინდიკატორები; - დიეარეა დაბინძურებული წყლით გამოწვეული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაავადება ბავშვებში; - სასმელი წყლის ხელმისაწვდომობის გაზრდა; - სასმელი წყლის რეგულაციები; - წყლის ციკლი; - ატმოსფერული ნალექი; - თოვლის დნობა; - წყლის ჭარბი ჩამონადენი; - ინფილტრაცია; - მიწისქვეშა ნაკადი; - აორთქლება; - გაწმენდა გასუფთავება;	11	15	ლექცია, პრაქტიკული დავალება	გამოკითხვა	A, C
13	- ზოგადი დებულებანი; - კომპეტენციის გამიჯვნა წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში; - წყლის დაცვა;	12	15		პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C

	- წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ლიკვიდაცია; - წყალსარგებლობა; - წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა; - წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირება;			ლექცია, პრაქტიკული დავალება		
14	- წყლის დაბინძურების ზემოქმედება ველურ ბუნებაზე; - წყლის დაბინძურების გავლენა ცხოველებზე; - წყლის კონსერვაცია; - წყლის გამოყენების ეფექტურობა სახლის პირობებში; - წყლის გამოყენების ეფექტურობა კომერციული საქმიანობისას; - წყლის გამოყენების ეფექტურობა სოფლის მეურნეობაში; - წყლის ხარისხის დაბინძურების უარყოფითი შედეგები; - წყლის ქიმიური დაბინძურების წყაროები და ზემოქმედება ჯანმრთელობაზე; - ზედაპირული წყლის სადრენაჟე სისტემები და დაღვრების შედეგად დაბინძურების საფრთხეები; - მლაშე წლისა და ყინულის სიმკვრივე; - მძიმე მეტალების შემადგენლობა სასმელ წყალშისხვადასხვა ნივთიერებების შენახვის პირობები და დაღვრის ზემოქმედების კონტროლი; - საგანაგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის არსებობა; - სხვადახვა ნივთიერებების დაღვრაზე რეაგირების გეგმა; - შეუთავსებელი ქიმიური ნივთიერებების უსფრთხოდ განთავსების წესები;	13	15	ლექცია, პრაქტიკული დავალება	გამოკითხვა	A, C
15	- გაზები; - ორთქლი; - სუნები; - სუნის პირდაპირი სინჯის აღება;	14			პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A, C

	• სუნის არაპირდაპირი სინჯის აღება; • ვაკუუმი; • მაღალი ტემპერატურა და ტენიანობა; • მომაკვდინებელი გაზების მაღალი კონცენტრაცია; • ფართო ზედაპირიდან სუნის გაფრქვევა; • ინდუსტრიული ნისლი; • ნისლის შეგროვების მექანიზმები; • კვამლი; • მტვერი; • ქვიშა; • გაპარული გაფრქვევა; • ბოჭკოები; • გოგირდის ორჟანგი (SO_x); • აზოტის ოქსიდი (NO_x); • მხუთავი აირი კარბონის მონოქსიდი; • ნახშირორჟანგი (CO₂); • აქროლადი ორგანული ნაერთები; • ტოქსიკური მეტალები; • ქლოროფლოროკარბონი; • რადიოაქტიური დამაბინძურებლები; • მეორადი დამაბინძურებელი; • მცირე დამაბინძურებლები; • მუდმივი ორგანული დამაბინძურებლები; • ჰაერის დაბინძურების კონტროლი; • კონტროლის იერარქია და მაგალითები; • რატომ უნდა დაინერგოს სფრთხეების კონტროლი სამუშაო ადგლიზე?! • საფრთხეების კონტროლი ძირითადი გზები; • უსაფრთხო გაფრქვევის უზურნველყოფა; • ფილტრები; • ავტომობილის ჰაერის ფილტრი; • მოტორის ჰაერის ფილტრი.		15	ლექცია, პრაქტიკული დავალება		
--	--	--	----	--	--	--

3. პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული მომზადების პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
გარემოს დაცვის საფუძვლები - 0731104	1. რეაგირება გარემოსდაცვით პრობლემებზე; 2. დაბინძურების ზემოქმედების გავლენის შეფასება; 3. გარემოზე ზემოქმედების შეფასება; 4. გარემოს დაცვითი საერთაშორისო კონვენციებისა და ეროვნული კანონმდებლობის აღწერა;
ნარჩენების მართვა - 0731110	1. ნარჩენების კატეგორიების იდენტიფიცირება; 2. ნარჩენების მართვის სფეროში არსებული ნორმების დაცვა; 3. საყოფაცხოვრებო და რეციკლირებადი ნარჩენების გაუვნებელყოფა და აღდგენა რეციკლირება; 4. სახიფათო ნარჩენების გადამუშავება - გაუვნებელყოფა; 5. სამედიცინო ნარჩენების მართვის აღწერა; 6. ნიადაგის გაწმენდა/გასუფთავება/აღდგენის პროცესის აღწერა;
წყლის და ჰაერის დაბინძურება - 0731119	1. უსაფრთხო სასმელი წყლისა და დამაბინძურებლების აღწერა; 2. წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედების დაგეგმვა; 3. წყლის წყაროების დაბინძურების გაკონტროლება ; 4. ჰაერში გაფრქვევის შემცირების კონტროლი.

*შენიშვნა: „გარემოს დაცვის საფუძვლები“ წარმოადგენს აღნიშნული ორი მოდულის პრერეკვიზიტულ დაშვების წინაპირობას.